

## საბანკო მომსახურების პირობების დანართი N26 – „საგადახდო ბარათის“ სტანდარტული პირობები

- საგადახდო ბარათი (შემდგომში - ბარათი) არის სადებეტო ბარათი, რომელზეც შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის ფულადი სახსრების განთავსება.
- ბარათზე დაშვებული ოპერაციები:
  - თანხის განაღდება;
  - სავაჭრო ობიექტებში თანხის გადახდა;
  - თანხის ჩარიცხვა;
  - თანხის გადარიცხვა;
  - თანხის შეტანა;
  - ინტერნეტ გადახდები.

- ბარათთან დაკავშირებული საკომისიოები:

საკომისიოს დასახელება	საკომისიოს მოცულობა
ყოველწლიური მომსახურება	უფასო
ადგილობრივ/საერთაშორისო სავაჭრო ობიექტებში გადახდის ოპერაციების საკომისიო	უფასო
თანხის განაღდების საკომისიო ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 60 დღის განმავლობაში:	საქართველოს ბანკის ბანკომატსა და სერვის-ცენტრში და საქართველოს სხვა ბანკის ბანკომატში - 0%. საზღვარგარეთის ბანკის ბანკომატში - 2%.
თანხის განაღდების საკომისიო ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 60 დღის შემდეგ:	ა) საქართველოს ბანკის/Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების სერვისცენტრში - 0.6% მინ. 0.5 ლარი; ბ) საქართველოს ბანკის ბანკომატში - 0.2% მინ. 0.2 ლარი; გ) Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების ბანკომატში - 0.5% მინ. 0.2 ლარი; დ) სხვა ბანკის სერვისცენტრში და ბანკომატში - 2% მინ. 3 აშშ დოლარი.

- ბარათის მოქმედების პერიოდში, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, შეცვალოს ბარათის პირობები (მათ შორის საკომისიოს ოდენობა და ა.შ.).
- წინამდებარე სტანდარტული პირობებით განსაზღვრული ურთიერთობის ფარგლებში, მხარეთა შორის კომუნიკაცია განხორციელდება საბანკო მომსახურების პირობებით განსაზღვრული კომუნიკაციის წესების შესაბამისად.